სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალქალაქის ციხე-გალავანი

ხელოვნებათმცოდნე: გიორგი პატაშური

თბილისი

2019

შესავალი

კავკასია მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო, უძველესი დროიდანვე, დიდი სახელმწიფოების ყურადღების არეალში იყო მოქცეული. საქართველოს, როგორც კავკასიის ერთ-ერთ უმთავრეს სახელმწიფოს, ოდითგანვე უხდებოდა ომების წარმოება საკუთარი ტერიტორიებისა და ინტერესების დასაცავად. ამ ვითარებამ, ჩვენი ქვეყნის თავდაცვაზე ორიენტაცია განსაკუთრებით გააძლიერა. რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა, სხვადასხვა სახელმწიფოების გამუდმებითი შემოსევები, მუდმივი საომარი მდგომარეობა მოითხოვდა სამხედრო ხელოვნების, საფორტიფიკაციო ქსელის, საბრძოლო-თავდაცვითი იარაღის მაღალ დონეზე განვითარებას, მეომრული სულისკვეთების გაღვივებას, რადგანაც ამ ყოველივეს გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის დაცვა და გადარჩენა. საქართველოს გადარჩენაში, უდიდესი როლი სწორედ თავდაცვითმა ნაგებობებმა და საფორტიფიკაციო ქსელმა შეასრულა. მიტომაცაა, რომ საქართველოს ტერიტორია სასიმაგრო ნაგებობებითაა მოფენილი და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თითქმის ყველა პუნქტი ციხესიმაგრითაა გამაგრებული. საფორტიფიკაციო ქსელისა და ნაგებობების უმთავრეს დანიშნულებას ქვეყნის ერთიანად დაცვა და უსაფრთხოება წარმოადგენდა, მაგრამ ეს მხოლოდ ქვეყნის ერთიანობის დროს იყო შესაძლებელი. იმ პირობებში, როცა ქვეყანა დაშლილი იყო, თავდაცვის ერთიანი სისტემა არ არსებობდა, ის მხოლოდ რეგიონების ინტერესებს ემსახურებოდა. ამიტომ ციხესიმაგრეთა განლაგების და მდებარეობის მიხედვით კარგად შეიძლება ამა თუ იმ ეპოქის პოლიტიკური სურათის აღდგენა – როცა ქვეყანა ერთიანი იყო, სიმაგრეთა ძირითადი ნაწილი ქვეყნის გარე საზღვრების პირას იგებოდა, ხოლო დაშლილობის პერიოდში, სიმაგრეები ქვეყნის შიდა ნაწილებში, ისტორიულ კუთხეთა სასაზღვრო ზოლებში შენდებოდა.

თავდაცვითი ნაგებობის ეფექტურობას განაპირობებდა მისი სიმტკიცე, მშენებლობისა და დაგეგმარების ხარისხი და მდებარეობა. ქართულ

ციხესიმაგრეთა უდიდესი ნაწილი, ყველა ამ კომპონენტის გათვალისწინების შედეგად, აუღებლად ითვლებოდა და საუკუნეების მანძილზე ასრულებდა თავის მოვალეობას. ციხეები ძალზე ხარისხიანად შენდებოდა, განსაკუთრებული ყურადღება კი მათ ადგილ-მდებარეობას ექცეოდა. ციხესიმაგრის ასაშენებლად ადგილის შერჩევას სხვადასხვა მიზეზი განსაზღვრავდა, ხოლო დრო-ჟამის შესაფერად ეს მიზეზიც ცვალებადი იყო, ციხესიმაგრის მიუვალობასთან ერთად, მთავარი იყო მისი სტრატეგიული დანიშნულება, ამიტომაც სიმაგრეებს აშენებდნენ გზებისა და გადასასვლელების გასაკონტროლებლად. ამასთანავე, ციხე ისეთ ადგილას უნდა ყოფილიყო აშენებული, რომ იქიდან სივრცის კონტროლიც შესაძლებელი ყოფილიყო. ცხადია, ციხის აგებისას ითვალისწინებდნენ ადგილის მიუვალობასაც – რთული რელიეფური პირობები გამოიყენებოდა სიმაგრეთა თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად – მათი ნაწილი მიუვალ და მაღალ ადგილას შენდებოდა, ბუნებრივი მონაცემები კი (კლდე, მთა, მდინარე) სიმაგრეთა სიმტკიცის გასაძლიერებლად გამოიყენებოდა. ქართულ ციხე-სიმაგრეთა უდიდესი ნაწილი მოხერხებულად და ჰარმონიულადაა შერწყმული გეოგრაფიულ გარემოსთან, რაც საქართველოს განსაკუთრებულ და განუმეორებელ იერს აძლევს. ციხე-სიმაგრეთა ეფექტურობას განსაზღვრავდა მათი ჩართვა ერთიან საფორტიფიკაციო ქსელში, რაც სხვადასხვა ადგილებში მდებარე ძირითადი ციხეების ურთიერთკავშირს ნიშნავდა. როგორც მიღებულია და ეს ეთნოგრაფიული მასალიდანაც კარგად ჩანს, ძირითადი ციხეები ერთმანეთს კოშკების მეშვეობით უკავშირდებოდნენ. სწორედ ამ საგუშაგო კოშკებზე დანთებული ცეცხლით ხდებოდა ციხეებისთვის სიგნალის გადაცემა, რის შედეგადაც მთელი საფორტიფიკაციო ქსელი მტრის შემოსევისას მზადყოფნაში იყო. ეს სისტემა მოქმედებდა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. საგუშაგო კოშკები განსაკუთრებით მიუვალ ადგილებშიც კი შენდებოდა, საიდანაც მოხერხებულად და დროულად ხდებოდა სიგნალის გადაცემა. ცეცხლსასროლი იარაღის შემოღების შემდეგ ცეცხლის ნაცვლად ამ მიზნით თოფს

და ზარბაზანს იყენებდნენ, თუმცა საქართველოს მთიანეთში გვიანობამდე შენარჩუნდა საგანგაშო სიგნალის ცეცხლით გადაცემის წესი, ვინაიდან გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, ის ბევრად ეფექტური იყო, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღი. ციხესიმაგრეების მნიშვნელობის შესახებ, კარგად ესმოდათ არა მარტო სამხედრო წრის წარმომადგენლებს, არამედ უბრალო მოსახლეობასაც; ქართული მატიანეები სავსეა ციხესიმაგრეთა შესახებ ცნობებით. ასევე, უამრავი ხალხური ლექსია მიძღვნილი ქვეყნის უსაფრთხოების დამცველი გოდოლ-ბურჯებისადმი, სადაც ხაზგასმულია ამ ნაგებობათა სიმტკიცე, მიუვალობა და აუღებლობა.

საცხოვრებელი ადგილის გამაგრება ადამიანმა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისთანავე დაიწყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული იწყება თავდაცვითი ნაგებობების განვითარების რთული და მრავალფეროვანი პროცესი. სასიმაგრო ნაგებობები ვითარდება ადამიანის ცხოვრების წესისა და მოთხოვნილებების შესაბამისად – მის სტილსა და ხასიათს განაპირობებს იარაღისა და საბრძოლო ხელოვნების განვითარება, გეოგრაფიული გარემო, ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების წესი, სამეურნეო ყოფა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ხანგრძლივი დროის მანძილზე იქმნება სხვადასხვა სახეობის თავდაცვითი ნაგებობები, რომლებიც იცვლებიან ეპოქის შესაბამისად. როგორც აღინიშნა, საქართველო მდიდარია როგორც თავდაცვითი ნაგებობების სიმრავლით, ისე მისი სახეობებით. შეიძლება ითქვას, რომ აქ თვითოეული კუთხე და ეპოქა, შესაბამისი სტილის თავდაცვითი ნაგებობითაა წარმოდგენილი. თავდაცვითი ნაგებობების სახეობათა ძირითად ცვლილებას საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი გარდამტეხი ხასიათის მოვლენები განაპირობებდა. თავდაპირველად, სიმაგრეები იგებოდა ქვის მშრალი წყობით, შემაკავშირებელი ხსნარის გარეშე. პირველი სერიოზული სახის ცვლილება მშენებლობაში, რკინის იარაღის გამოყენებამ გამოიწვია, რამაც შესაძლებელი გახადა სამშენებლო მასალის უკეთ დამუშავება. შემდგომი ცვლილება

დუღაბის გამოყენებას უკავშირდება, რის შემდეგაც სიმაგრეები აღარ იგება მშრალი წყობით. ლეონტი მროველის ცნობის თანახმად, საქართველოში დუღაბი ძვ.წ. III საუკუნიდანაა ცნობილი. სახელმწიფოს წარმოშობას და გაძლიერებას მოჰყვა ქალაქების გაჩენა და აღმავლობა, რის შედეგადაც ვითარდება გამაგრებული, ზღუდე შემოვლებული, ციხე-ქალაქები. ეს პერიოდი ძვ.წ. IV-III საუკუნეებს მოიცავს. ქალაქების მშენებლობის განვითარება ახ.წ. IV-V საუკუნიდან უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. IX-X ს-დან კი ქალაქების დაწინაურება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რასაც თან ახლავს ციხესიმაგრეთა მასშტაბების ზრდაც. სიმაგრეთა მშენებლობაში კარდინალური გარდატეხა ხდება XVI ს-დან, რაც გამოიწვია ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ. საჭირო გახდა ციხესიმაგრეთა დაგეგმარების ძირეული ცვლილება, საისრეების და სალოდეების ნაცვლად, შემოდის სათოფურები და საზარბაზნეები, ციხეთა გალავნები რამდენიმე იარუსიანი ხდება. თავდაცვით ნაგებობებთან დაკავშირებული ცვლილებები მთელი სამი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

აღწერა

სოფ. ახალქალაქი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. თეძმის პირას. სოფლის ცენტრში საკმაოდ დაზიანებული, მართკუთხა ციხე-გალავანია. ციხე-გალავნის ჩრდილო-დასავლეთ ბურჯთან, გალავნის გარეთ, ღვთისმშობის დარბაზული ეკლესიაა, სამრეკლოსთან ერთად. ციხე-გალავანს ოთხივე მხრიდან სოფლის ორღობეები შემოჰყვება. მათ გაყოლებაზე კი, ჯერ კიდევ არის შემორჩენილი, საკმაოდ ძველი საცხოვრებელი სახლები. გალავნის აღმოსავლეთის პირა მცირე მოედანი უწინ ბაზრობათა ადგილი იყო. გალავანს კი ირგვლივ ჩამორიგებული ჰქონდა სხვადასხვა სახელოსნოები და დუქნები. ამჟამად სოფლის ეს ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია. გალავნის პირა სახლთაგან ბევრი ინგრევა, მძიმე მდგომარეობაშია თვით ციხე-გალავანიც.

თეძმის ხეობა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ხეობა თრიალეთის ქედზე იღებს სათავეს, შემდეგ განიერდება და საკმაოდ ფართე ხოლად უერთდება მტკვარს. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „მდინარე თეძმისა გამოდის ჯვარებსა და თორს საშუალს მთასა, და დედა-ციხემდინ დის აღმოსავლით, მერე დის ჩრდილოთკენ და მიერთვის მტკვარს სამხრიდამ“[1]. ახალქალაქის შესახებ კი მხოლოდ ეს უწერია: „ამის სამხრით არს თეძამზედ ახალქალაქიო“.[2] ამ ხეობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებია: VII საუკუნის რკონის მონასტერი, 1152 წლის კახა ერისთავის მიერ აგებული საორბისის ეკლესა. XII-XIII საუკუნეების იკვისა და ერთაწმინდის ეკლესიები. სხვადასხვა დროესა და ტიპის ძეგლებია სოფლებში: მეტეხი, ნოსტე, ფავნისი, გოსტიბე, კაშერი, ჩაჩუბეთი, ფიცესი.

ახალქალქის ციხე-გალავანი და აქვე მდგარი ეკლესიები გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებს წარმოადგენს. ეს ჩანს ამ ნაგებობათა როგორც მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებათა გამომდინარე, ასევე წარწერიანი ქვიდან, რომელიც მოთავსებულია „ღვთისმშობლის ეკლესიის“ აღმოსავლეთ ფასადზე. წარწერაში ვკითხულობთ:

> „მას ჟამსა ოდეს იჯდა ერან თურან ბედნნერი ყაენი, ხელმწიფე შაჰსეფი ქ. სახელითა ღვთისა ჩვენ საქართველოს ხელმწიფეს შვილმან. მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმა დედოფალთ-დედოფალმა პატრონმან მარიამ, ხელვყავით აღშენება თეძმის პირს ქალაქი. სახელი უწოდეთ მეფის ქალაქი და აღუაშენეთ საყდარნი და მონასტერნი ჯვარცმისა ქალაქსა ამის მკვიდრობისათვის მეფის ქალაქელთა სომეხთა ჩვენთა სახასოთა ვაჭართა. ქვსა ტ/./ვ? თუესა ივლისს კდ“

---

[1]ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსი საქართველოსი, თბ, 1973, გვ. 341
[2]იქვე, გვ. 341

ამის ქვეშ არის მეორე წარწერაც:

„გვაგონა და მოგვახსენა ქალაქთა და საყდრისა ამის აღშენება, კარისა ჩუენის მდივანმა ყორღანაშვილმა მერაბ. ისი ვაღვაწეთ აღმშენებლად საყდრისა ამის, ვინც წირავდეს მოიხსენებდეთ მერაბს ყოველნივე“

პირველად ეს წარწერები წაიკითხა პლატონ იოსელიანმა და გამოაქვეყნა თავის ორ ნაშრომში.[3] წარწერები გამოქვეყნებული აქვთ სერგი მაკალათიასა[4] და ჯონდო გვასალიასაც.[5] როგორც წარწერიდან ირკვევა ქართლის მეფე როსტომსა და მარიამ დედოფალს თემმის პირას ახალი ქალაქი და ეკლესია აუგიათ სამეფო კარის მდივნის, მერაბ ყორღანაშვილის ხელით. ქორონიკონში გარკვევით ჩანს ასო ტ=300 ე.ი ეს ამბავი 1612 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო და მართლაც როსტომ მეფის ზეობის წლებია 1632-1658 და სწორედ ამ ხანით უნდა დათარიღდეს ეს წარწერა.

ს. მაკალათიას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ახალქალაქი XVII საუკუნემდეც არსებობდა და როსტომ მეფე მხოლოდ მისი როგორც ქალაქის განმანახლებელია. იგი წერს: „ახალქალაქი ძველად იყო ქალაქი; მე-12-13 საუკუნეებში ახალქალაქი ერისთავთ-ერისთავის კახას რეზიდენცია ყოფილა. ამას ადასტურებს კახა ერისთავთ-ერისთავის მიერ რკონის მონასტრისადმი ბოძებული 1259 წლის შეწირულობათა სიგელი. ამ სიგელის შინაარსიდან ირკვევა რომ ახალქალაქის ერისთავთ-ერისთავი კახა მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა. მას სულის საცხონებლად რკონის მონასტრისთვის შეუწირავს სოფელი ხოვლეო“[6]. ს.

---

[3]პ. იოსელიანი, ცხოვრება დიდი მოურავის თავად გიორგი სააკაძისა, ტფ. 1850, გვ 90. (რუსულ ენაზე); პ. იოსელიანი, ადრე და ამჟამად არსებული ქალაქები საქართველოში, ტფ. 1850 გვ. 26.(რუსულ ენაზე)

[4]ს. მაკალათია, თემმის ხეობა, თბ. 1959, გვ. 6

[5]ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევი, თბ. 1983, გვ. 162.

[6]ს. მაკალათია, თემმისხეობა, თბ. 1959, გვ. 11

მაკალათიას ამ მოსაზრებას არ იზიარებს ჯ. გვასალია. რკონის სიგელში მსგავსი არაფერი წერიაო - ასკვნის იგი.[7] მართლაც სიგელში არ არის აღნიშნული, რომ კახას რეზიდენცია თეძმის ახალქალაქში მდებარეობდა და საერთოდ იგი ახალქალაქის ერისთავ-ერისთავად არ არის მოხსენიებული, მაგრამ სხვა ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ სიგელის ავტორი მეჭურჭლეთუხუცესი კახა მართლაც ახალქალაქის ერისთავთ-ერისთავია, მაგრამ ჯავახეთის ახალქალაქისა. თეძმის ხეობაში კი მას მიწები ეკუთვნოდა[8].

XVI საუკუნიდან თეძმის ხეობაში ბატონობდა სააკაძეთა გვარი. გიორგი სააკაძის შემდეგ კი მისი შთამომავლები თარხან-მოურავთა გვარით დამკვიდრდნენ. XX საუკუნის დასაწყისამდე თეძმის ხეობას სწორედ ჯავახიშვილები და თარხან-მოურავები ფლობდნენ.

ამდენად, ამჯერად უტყურად შესაძლებელია ვისაუბროთ როსტომ ქართლის მეფის მიერ XVII საუკუნის შუა ხანებში სავაჭრო ქალაქ ახალქალაქის დაარსებაზე, რომელიც ალბათ ახალქალაქის ციხე-გალავნის ირგვლივ იქნებოდა განლაგებული. თუმცა, ვახტანგ ბერიძეს ნაშრომში[9] აღნიშნული აქვს როსტომის მიერ ახალქალაქის აღდგენა. ყოველ შემთხვევაში XVII საუკუნის შუა ხანებიდან ახალქალაქი უკვე სავაჭრო ქალაქია. ამ დროს უნდა იყვნენ აქ ჩამოსახლებულნი ვაჭრობაში დახელოვნებული სომხები, რომლებიც იქ ახლაც სახლობენ. ახალქალაქიდან რამდენიმე გზა მიემართებოდა კლდეკარსა და მანგლისისკენ, რაც ვაჭრობის აღორძინების შესაძლებლობას იძლეოდა ამ მხარეში. ახალქალაქში ბაზრობა იმართებოდა კვირაობით (ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი თუმცა ბაზრობა გადატანილია სხვა ქუჩაზე), ციხე-გალავნის ირგვლივ მდებარე სახელოსნოებში კი სხვადასხვა ხელოსნები საქმიანობდნენ. ბაზრობები ახალქალაქის ციხე-გალავნის წინა მოედანზე XX საუკუნის I ნახევარშიც

---

[7] ჯ. გვასალია, აღმოსავლეთსაქართველოსისტორიულიგეოგრაფიისნარკვევი, თბ. 1983, გვ. 162

[8] ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1940, გვ. 40

[9] ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I გვ. 314

იმართებოდა. XIX საუკუნეში ახალქალაქი თბილისელთა საკურორტო ადგილადაც იყო გადაქცეული. XIX საუკუნის ქართულ პრესაში ხშირია ცნობები ახალქალაქში მოაგარაკეთა ცხოვრების შესახებ. აქ იმართებოდა საქველმოქმედო სპექტაკლებიც: „ხანუმა“, „ძუნწი“ და სხვა ნ. გაბუნია-ცაგარელის თაოსნობით. გაზეთ „დროება“ 1881 წლის #270-ში ვკითხულობთ, რომ ახალქალაქის ციხეში გამართული ყოფილა სოფლის სკოლა, კანცელარია, მაღაზია და სხვა შენობები. XX საუკუნის შუა ხანებში ციხე-გალავნის ტერიტორიაზე მოწყობილი იყო ნავთობაზის საწყობი, მოგვიანებით კი ხილის დამზადების პუნქტი იყო გახსნილი.

გალავანი მართკუთხა ფორმისაა. თითოეული კუთხე გამაგრებული იყო მრგვალი ბურჯით. ამჟამად შემორჩენილია 3 ბურჯი, ჩრდილო-დასავლეთისა კი თითქმის მთლიანად მორღვეულია, რომელიც ყველაზე დიდი რადიუსის არის და სავარაუდოდ იგი წარმოაგენდა მთავარ კოშკს, როგორც მუხრანის შიოსუბნის ციხის წარწერაშია მოხსენიებული მსგავსი კოშკი - „მამა-ბურჯი“, რომელიც წარმოადგენს საცხოვრებელ კოშკს სათავდაცვო ფუნქციებით. მორღვეულია ამ ბურჯთან მიმდებარე დასავლეთ გალავნის მონაკვეთი. გალავნისა და ბურჯის წყობა ყველგან ერთნაირია: რიყის მოზრდილი ქვები დადუღებული კირის ხსნარზე. ქვის წყობის რიგობრივობა ძირითადად დაცულია. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ბურჯებში. შედარებით უკეთაა შემორჩენილი გალავნის ჩრდილოეთი კედელი და ჩრდილო-აღმოსავლეთის ბურჯი. სამხრეთით გალავანი ნახევარ სიმაღლემდეა. აღმოსავლეთიდან შემორჩენილია ჩრდილოეთ მონაკვეთში 2 მეტრის სიმაღლის კედელი, დანარჩენი კედელი მთლიანად მორღვეულია. დასავლეთ მარეს გალავანზე მიდგმული იყოგვიანდელი ნაგებობა. აქ იკითხება სქელი კედლები და აივნიანი ნაგებობის ხის სვეტების საძირკვლის კვალი. 1989-90 წელს მოსულიშვილის მიერ შედგენილ გალავნის სარესტავრაციო პროექტში ეს ნაგებობები ჯერ კიდევ არსებობდა. გვიან მიდგმული სახლები ჰქონდა გალავანს გარედანაც სამხრეთ კედელზე თითქმის მთელს სიგრძეზე და ჩრდილოეთ

ფასადზე დასავლეთ მონაკვეთში. ამჟამად ეს მინაშენები აღარ არსებობს, თუმცა ერთი გვიან მიდგმული საცხოვრებელი სახლი შემორჩენილია დასავლეთ ფასადთან, სამხრეთ მონაკვეთში. აღნიშნული ორსართულიანი შენობა XIX საუკუნის საცხოვრებელი სახლის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისთავად წარმოადგენს ძეგლს. აგურითა და რიყის ქვით აგებულ შენობას მეორე სართულზე გაუყვება მოხარატებულ მოაჯირიანი ხის აივანი და ასევე მოხარატებული ფარდებით. ნაგებობა გადახურულია კრამიტით. მეორე სართულზე ასასვლელი კიბე ასევე ხისაა და ადის მთავარი ფასადის პარალელურად კუთხემდე. ვფიქრობთ, გალავნის რეაბილიტაციის პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ნაგებობის რეაბილიტაციაც.

ნაგებობები იყო მიდგმული გალავნის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზეც. გალავნის ჩრდილო შედარებით უკეთ შემორჩენილ კედელზე შეინიშნება სათოფურთა რიგი. შიგნიდან აქ ალბათ ხის საბრძოლო ბილიკი უნდა ყოფილიყო მოწყობილი. ასევე უკეთ შემორჩენილი ჩრდილო-აღმოსავლეთის ბურჯი სამნახევარ სართულის სიმაღლეზეა მოღწეული. ზედა ნაწილი მონგრეულია, თუმცა გარე პერიმეტრზე - საარქივო ფოტოებზე უკეთ და ახლაც შეიძლება - ქონგურების შემჩნევა. კოშკში შესასვლელი გალავნის კუთხედანაა, თაღოვანი მოხაზულობის. შესასვლელი ორივე სართულზეა მოწყობილი. შიგნით შენარჩუნებულია სართულშუა გადახურვის ბუდეები. თახჩები და თითო ბუხარია 2 სართულზე. თითქმის იდენტურია სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ბურჯი. სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკის ზედა ნაწილი შედარებით მეტადაა მორღვეული. ხოლო სამხრეთ-დასავლეთი ბურჯს აქვს გამონგრეული კედლები.

ციხე გალავნის აგების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ეკლესიის წარწერა გვამცნობს, რომ როსტომმა თეძმის პირას ქალაქი აღაშენა და სახელად უწოდა

მეფის ქალაქი. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ციხის მშენებლობაც იგულისხმება. ქართლში როსტომ მეფის დროიდან იწყება შედარებით მშვიდობიანი პერიოდი და მშენებლობაც აქტიურდება. ამ პერიოდში ვიდრე XVII საუკუნის ბოლომდე ქართლში მრავალი ახალი ნაგებობა აიგო და ძველი შეკეთდა. ახალქალაქის ციხე-გალავანი თავისი ფორმისა და ხასიათით ამავე ხანის ნაგებობათა რიგში დგას. XVII საუკუნიდან იწყება ამგვარი ციხე-გალავნების აგება ვაკე ადგილებში, იქ სადაც მჭიდრო მოსახლეობა იყო, მტრის თავდასხმის დროს მოსახლეობის შესახიზნად. ამ პერიოდში „გალავნები შენდება საკუთრივ კედლებსა და მათ ხაზში ჩართულ კოშკებისაგან - ჩვეულებრივ, გალავანს არავითარი შიდა სათავდაცვო ნაგებობა-დონჟონი, „მაღლა ციხე“, ან სხვა რაიმე კოშკები არ გააჩნია. საცხოვრებლადაც შეიძლება მხოლოდ მხოლოდ ერთი-ორი კოშკი იყოს გამოსადეგი“[10]. „ასევე ამ ხანის სათავდაცვო შენობების წყობა ისეთი მონუმენტური აღარაა, ქვები უფრო წვრილია, ხშირად სრულიად დაუმუშავებელი და უწესო მოხაზულობის. ნაკერები ფართოა - დუღაბი და ქვა თითქმის თანაბარ როლს თამაშობს საერთო ფაქტურისათვის. ხშირია უბრალო რიყის ქვის კედლებიც.“[11]

თითქმის იდენტური გეგმის გალავანი გვხვდება ასევე მჭადიჯვარში, სადაც ასევე მხოლოდ ერთი მრგვალი კოშკი გამოირჩევა თავისი გაბარიტებით. ჩვენი გალავნის მსგავსათ აქაც მართკუთხა გალავანია, კუთხეებში კოშკებით. სამი კოშკი ერთნაირია, ხოლო ერთი კოშკი ყველაზე მასშტაბურია.აქვე აუცილებლად უნდა ვახსენოთ ამავე გეგმის სხვა გალავნები, როგორიცაა ქოლაგირის და ლალისყურის გალავნები, რომელთა მასშტაბი გაცილებით დიდია და გალავნის კედლები დაირთავს კონტრფორსებს.ქოლაგირის ციხე მდებარეობს მდ. ალგეთის მარცხენა მხარეს. აქ ადგილი გაშლილია და მისადგომად ყოველ მხრიდან ერთნაირია. სწორედ ასეთ ადგილზე აშენებდნენ XVIII ს. შუა ხანებიდან დიდ ციხეებს, რომელსაც გალავანს ეძახოდნენ. ქართლ - კახეთში ლეკების თავდასხმა ისეთი

---

[10]ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეებისქართულიხუროთმოძღვრება, ტ. I გვ. 92
[11]იქვე, გვ. 107

ხშირი და მოულოდნელი იყო, რომ მოსახლეობა მთელი სარჩო-ს აბადებლით სწრაფად უნდა დახიზნულიყო. ამის გამო სახიზრად დიდი ტევადობის ციხეებს აგებდნენ შიგ სოფელში, ან სოფლებს შორის. ასეთ ციხეს ჭიშკარი ჰქონდა, რადგან ტრანსპორტს უნდა ემოძრავა. ციხე დროებით თავშესაფარს წარმოადგენდა, ამიტომ მას სპეციალური გარნიზონი არ ჰყავდა. ციხის დამცველები შეხიზნულთაგან შედგებოდა. ქართლ - კახეთში აგებულ ამ ტიპის ციხეებიდან ქოლაგირისა ერთ - ერთი უკანასკნელთაგანია. იგი აგებულია 1788 – 1798 წლებში დარეჯან დედოფლის მიერ. 1801 წ. თვით დარეჯანი წერდა. "ქოლაგირის დიდი ციხე და გალავანი ავაშენე“. ამ გალავნის გეგმა კვადრატულია და ფართობი 2000 კვ. მ. აღემატება. ციხის კუთხეებში ცილინდრული კოშკები დგას, ხოლო მათ შორის ნახევარწრიული შვერილებია, რომ თავდასხმის დროს ირგვლივ "მკვდარი წერტილები" არ ყოფილიყო. ამათ გარდა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების ცენტრებში თითო სწორკუთხა კოშკია. პირველ მათგანში მთავარი შესასვლელია მოწყობილი. კუთხის ცილინდრული კოშკები ერთნაირი გადაწყვეტისაა. სამი სართული საბრძოლო - საცხოვრებელია, ხოლო ბანი მხოლოდ თავდაცვითია, სადაც განლაგებულია სათოფეები, სალოდეები და საზარბაზნეები. ქოლაგირის ციხეს ცოტა ხანს მოუხდა ქვეყნის სადარაჯოზე დგომა. XIX ს. დასაწყისიდან მან სხვა ციხეებთან ერთად დაჰკარგა თავისი ფუნქცია.

ასეთივე გეგმის არის ქ. თელავის ბატონის ციხე. ციხე-გალავანით აქ გაცილებით დიდი ტერიტორიაა მოსაზღვრული. კუთხეებში აქაც წრიული ფორმის კოშკებია დატანებული. კოშკებია დატანებული. კოშკებია დატანებული. კოშკებია დატანებული. კოშკებია დატანებული. კოშკებია დატანებული.

ახალქალაქის გალავნის პარალელებიდან მასთან ყველაზე ახლო მანძილზე დაახლოებით 1 კმ-ში მდებარეობს სოფ. ახალციხის ციხე. იგი ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა. შემაღლებულ ადგილას. გეგმა თითმის ანალოგიურია

ახალქალაქის გალავნისა, მხოლოდ იგი დასავლეთ კედლის შუაში დაირთავს ასევე სწორკუთხა კოშკს. ახალციხის ციხე განსხვავებით ახალქალაქის გალავნისგან რომელიც დასახლებულ პუნქტში მდებარეობს სწორ ადგილას, აგებულია შემაღლებულ ბორცვზე, რომელიც მთლიანად უკავია ციხეს. მისი ამჟამინდელი ფიზიკური მდებარეობაც გაცილებით ცუდია. საფიქრებელია, რომ ახალციხის ციხე იყო მთავარი საბრძლო ციხე, რომლის აღებაც გაცილებით რთული იქნებოდა ვიდრე დასახლებულ პუნქტში მდებარე გალავნის.

ციხე-გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, იქ სადაც მონგრეული ბურჯი დგას წაგრძელებული დარბაზული ეკლესიაა, ჩრდილოეთი მხრიდან მიჯრით მიშენებული სამრეკლოთი. ადგილობრივები მას „მარიამწმინდას“ უწოდებენ. ეკლესია ორკალთიანი კრამიტის სახურავით არის გადახურული და დასრულებულია სამსაფეხურიანი აგურის კარნიზით. აღმოსავლეთ ფასადზე კარგად ჩანს, რომ ეკლესიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილები შუაზეა გაყოფილი მკვეთრი ხაზით. ორთავე ნაწილის წყობაც განსხვავებულია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ნაწილები ერთმანეთზეა მიდგმული. აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები, დასავლეთის მონაკვეთი კი - აგურისა და რიყის ქვის ნარევით. ქვედა რიგებში რიყის ქვაა, ზემოთ კი აგურის წყობა. რიყის ქვითაა აგებული ამ მონაკვეთის დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები. სამხრეთიდან ამ ნაწილში ფართე შესასვლელია, უფრო ვიწრო კარია დასავლეთ ფასადზე, რომლის თავზე ვიწრო, აგურის თაღიანი სარკმელია. სამხრეთ ფასადის ასეთივე ფორმისაა. სამხრეთი კარის ორივე მხარეს დატანებულია წყობაში ჩაძირული ჯვარი, რომელიც ამჟამად ცემენტის ხსნარითაა ამოვსებული. ასეთივე სარკმელია ჩრდილოეთ ფასადზე, ხოლო მის ქვემოთ კი ძალზე განიერი სარკმელია გაჭრილი. ამგვარი სარკმელია ეკლესიის აღმოსავლეთ მონაკვეთის ფასადზეც. როსტომ მეფის წარწერის ქვემოთ, საკურთხევლის განიერი სარკმელია. ფართე სარკმლები და ორთავე შესასვლელი თეთრი ქვით არის მოჩარჩოებული. ეს სარკმლები და შესასვლელთა მოჩარჩოება გვიანი დროის

დამატება უნდა იყოს, რომლებიც ქვის დამუშავების ხერხებით და პროფილებით XIX საუკუნეზე უნდა მიუთითებდეს. ოდნავ განსხვავდება დასავლეთის შესასვლელისა და დანარჩენ კარ-სარკმელთა მოჩარჩოება. დასავლეთისა დროით უნდა უსწრებდეს დანარჩენს. ნაგებობა შიგნითაც ერთგვარად გაყოფილია შუაზე წყვილი განიერი პილასტრით და ერთი მთლიანი სივრცის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. დასავლეთი მონაკვეთი ნახევარწრიული კამარა აგურისაა, აღმოსავლეთისა მთლიანად შელესილია და წყობა არ ჩანს, კამარის ფორმაც უსწორმასწოროა. აფსიდის კედლის სისქეში ღრმა ნიშებია, რომლებიც წაგრძელებულია არმოსავლეთ ფასადისაკენ. ჩრდილოეთ ნიშასთან კედელში სანათლავია დატანებული. ზეაწეული საკურთხეველი და ჩრდილოეთ კედელში მოწყობილი სანათლავი გრიგორიანული ეკლესიიის ნიშნებია. სომხური წარწერები იყო შემორჩენილი გვიანი ხანის მხატვრობაზე, რომლის ფრაგმენტები ბათქაშისგან გაუწმენდია ადგილობრივ მოსახლეობას. ეკლესიის დასავლეთ ნაწილში ხის პატრონიკე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რადგანაც შემორჩენილია საბჯენი ამ ხის აივნისათვის. მსგავსი ხის აივანი ამჟამად არსებობს იქვე წმ. თევდორეს ეკლესიაში. საკურთხევლის ჩრდილოეთ კუთხესა და სქელ პილასტრს შორის გასასვლელია მოწყობილი სამრეკლოში.

სამრეკლოს დასავლეთ ფასადზე წარწერიანი ქვაა ქორონიკონით 374, რომელიც უდრის 1686 წელს. სამრეკლო წარმოადგენს რიყის ქვით ნაგებ მასიურ კუბს, რომელსაც თავზე ადგას რვათაღიანი ფანჩატური. გუმბათი და თაღები აგურისაა. სამრეკლო ერთგვარად შეჭრილია ეკლესიის აღმოსავლეთ მონაკვეთის ჩრდილოეთ კედლის სისქეში. ეკლესიის კარნიზი სამრეკლოს დასავლეთ კედელთან წყდება. სამრეკლოზე ასვლა მხოლოდ მისადგმელი კიბითაა შესაძლებელი. ქვედა სართულში შესასვლელი დასავლეთიდანაც უნდა ყოფილიყო, თუმცა ამჟამად ამოშენებულია და მის ადგილას სარკმელია დატოვებული. სამრეკლო თავისი ფორმებითა და მასალით სრულად შეესაბამება წარწერაში აღნიშნულ თარიღს.

ძალზე რთულია ამ ნაგებობათა აგების რიგითობის გარკვევა. მაკალათიას აზრით, როსტომ ის დროს აგებული ეკლესია დაინგრა და XVIII საუკუნეში გალავნის გარეთ აუგიათ „დღევანდელი სომხური ტიპის ტაძარი“, ხოლო ძველი წარწერიანი ქვა ჩაუდგამთ ამ ახალ შენობაში[12]. პ. იოსელიანი კი, როდესაც როსტომის წარწერა მოფყავს, შემდეგ აღნიშნავს: „მეორე წარწერას (სადაც მერაბ ყორღანაშვილია მოხსენიებული) ვკითხულობთ სომხური ეკლესიის კედელზეო“[13]. ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ რამდენიმე სამშენებლო ხანა. როსტომ მეფემ ააგო ეკლესია 1632-58 წლებში, შემდეგ ამ ეკლესია კუთხით მიადგეს 1686 წელს სამრეკლო (მისი სამხრეთი სარკმელი უცილობლად თავისუფალ სივრცეში უნდა გასულიყო). რაღაც დროის გასვლის შემდეგ მოინგრა ციხე-გალავანის დასავლეთი კედელი ჩრდილოეთ ბურჯთან ერთად. სწორედ ამ კედლის ხაზზეა აგებული ახლანდელი ეკლესიიის აღმოსავლეთი მონაკვეთი. მაშინვე უნდა გადაწეულიყო ციხე-გალავნის დასავლეთი კედლი ოდნავ შიგნით. სავარაუდოდ ახლანდელი ეკლესიის აღმოსავლეთი მონაკვეთი (გრიგორიანული ყაიდის) ძველი ეკლესიის აფსიდის ადდგილზეა აგებული და კიდევ უფრო დაგრძელებული. XIX საუკუნეში ეკლესიას და სამრეკლოს ე.წ რემონტი გაუკეთდა. გაიჭრა ახალი, განიერი კარ-სარკმლები ამ საუკუნისთვის დამახასიათებელი მოჩარჩოებით. ძველი სამშენებლო წარწერიანი ქვა კი ახალ ფასადზე ჩაიდგა.

ახალქალაქის გალავნის დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია მოუვლელობით და ადამიანთა ზემოქმედებით, რაც გამოხატულია ზოგ ადგილას კედლის გამონგრევით (ძირითადად სამხრეთ კედელზე, რათა შეემოკლებინათ სახლისკენ მისასვლელი გზა). გარდა ამისა გამოვლენილია სტუქტურული დაზიანება და ბიოდაზიანება. სტრუქრურული დაზიანებაბია - ჩამონგრეულია

[12]ს. მაკალათია, თეძმისხეობა, თბ. 1959, გვ. 6
[13]პ. იოსელიანი, ცხოვრებადიდიმოურავისთავადგიორგისააკაძისა, ტფ. 1850, გვ. 26

გალავნის ზედა ნაწილი, აღარ იკითხება ქონგურები. ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია აღმოსავლეთი კედელი, რომელიც თითქმის აღარ იკითხება, შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი მცირე მონაკვეთი.დასავლეთი კედელის ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ გადაკეთებულია ეკლესიის ღობედ. სამხრეთ ფასადს მთელს სიგრძეზე მიშენებული აქვს სხვადასხვა დანიშნულების გვიანდელი სათავსები.მოუვლელობის გამო გალავნის წყობას დიდ მონაკვეთებზე აღენიშნება დუღაბის გამოქარვა. შედარებეთ უკეთ არის შემორჩენილი წყობა ქვედა მონაკვეთებში. ბიოდაზიანებად ჩვენს შემთხვევაში წარმოგვიდგება ნაგებობაზე და კოშკებში ამოსული მცენარეები.

ჩრდილოეთი კედლის ფასადს აღენიშნება მრავალი სტრუქტურული დაზიანება: ზედა ნაწილებია მორღვეული, წყობა გამოქარულია; ამ ფასადს დასავლეთ მონაკვეთში მიშენებული ჰქონდა ორსართულიანი ნაგებობა. როგორც ჩანს შენობის უკანა კედლად პირდაპირ გალავანი იყო გამოყენებული. ამ მონაკვეთებში შემორჩენილია შელესილობა და შპალერიც. ასევე ნაგებობის სართულშუა გადახურვის კოჭების მოსაწყობად გამოუნგრევიათ გალავნის კედლები. ახლა კი შემორჩენილია მხოლოდ გამორღვეული ფოსოები. გალავნის ზედა ნაწილი მხოლოდ ამ მონაკვეთშია გასწორებულად შემონახული. კედლის შუა მონაკვეთში, ქვედა ნაწილში, მცირე მონაკვეთზე ჩამონგრეულია საპერანგე წყობა.

შიდა მხრიდან ჩრდილოეთი კედელის ქვედა ნაწილი ცემენტის ხსნარით არის ამოგოზილი. ძირში, ზოგ ადგილას ქვები გამოვარდნილია. შუა ადგილას კედლის საპერანგე წყობა ჩამორღვეულია, მცირე მონაკვეთში კი სრულად გარღვეული. ზედა ნაწილში კედლის წყობა მთლიანად გამოქარულია.

სამხრეთ ფასადი, გაცილებით დაბალ სიმაღლეზეა შემორჩენილი, შედარებით ჩრდილოეთ ფასადთან. აქ, თითქმის მთელს სიგრძეზე მიშენებები იყო. ამჟამად მათი დიდი ნაწილი მოხსნილია, თუმცა მათ დაატყვეს თავიანთი

კვალი გალავნის კედელს. აქაც შემორჩენილია მიდგმული შენობის შედეგად დარჩენილი კოჭების ბუდეები, რომლებიც გამორჩვეულია გალავნის კედელში სწორ რიგად. გალავნის ზედა ნაწილი მთლიანად მორღვეულია. ზოგა ადგილას ფასადის საპერანგე წყობა მორღვეულია. ამჟამად კვლავ არსებობს გარკვეული მინაშენები ფასადის აღმოსავლეთ და დასავლეთ მონაკვეთებში. გალავნის წყობა დიდწილად გამოქარულია. ამდენად აქაც აღინიშნება სტრუქტურული დაზიანებები.

შიდა მხარეს კედლის დიდ ნაწილს თითქმის დაკარგული აქვს თავდაპირველი სახე. ამ კედელზე როგორც აღინიშნა იყო მიდგმული მოზრდილი ნაგებობა. ახლა იგი დანგრეულია, თუმცა მისი კვალი ჯერ კიდევ კარგად იკითხება. იმ მონაკვეთებში, სადაც იყო შენობის ოთახები, გალავნი კედლები შელესილია. დასავლეთ მონაკვეთში გაკეთებულია გვიანდელი კარიც, გალავნის გარღვევის შედეგად. ამ „კარის“ თავზე გაუკეთებიათ ბუხარიც, რომლის ზედა ნაწილის გადასახურად გამოუყენებიათ ხორბლის სალეწი დაფა. ამჟამად ამ გვიანდელი ნაგებობის კედლების დიდი ფრაგმენტები კიდევ დგას.

დასავლეთ ფასადს,_რომელიც შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ მონაკვეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მთლიანად მიდგმული აქვს სახლი,ხოლო ჩრდილოეთი მონაკვეთი გადაკეთებულია ეკლესიის ღობედ.

შიგნიდან სამხრეთ მხარეს აქაც მიშენებული იყო ნაგებობა. რომლის ფრაგმენტერი ახლა კიდევ არსებობს. ამ ნაგებობის გამო დაზიანდა გალავანი. გარკვეული მონაკვეთები სქლად არის შელესილი გაჯით. კედლები დახვრეტილია სართულშუა გადახურვისთვის.

აღმოსავლეთ ფასადი მთლიანად მორღვეულია, შემორჩენილია მხოლოდ მისი ჩრდილოეთ მცირე მონაკვეთი. აქ მკაფიოდ გამოვლენილია კედლის

სტრუქტურის სრული დაკარგვა. ამ ეტაპზე გვრჩება მხოლოდ ვარაუდი, თუ სად იყო კარიბჭე.

ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკი როგორც აღინიშნა ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი. მან თითქმის მთელი სიმაღლით მოაღწია ჩვენამდე. შემორჩენილია რამდენინიმე ქონგურის ფრაგმენტიც. სამსართულიან კოშკში ჩამორღვეულია და აღარ არის შემორჩენილი სართულშუა გადახურვა. თუმცა კარგად ჩანს სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეები. შედარებით მეტად არის დაზიანებული კოშკი გალავანის შიდა მხიდან, კუთხესთან. ზედა ნაწილი აქ ჩამონგრეული, თუმცა შემორჩენილია მესამე სართულის შესასვლელი კარის ერთი წირთხლის ქვედა ნაწილი. ჩამონგრეულია ასევე პირველ და მეორე სართულის კარის ღიობს შორის არსებული კედელი. კოშკს სტრუქტურულ დაზიანებებთან აღენიშნება ბიოდაზიანებაც. კოშკში შიგნით ამოსულია მცენარეები. ასევე მცენარეებია კოშკის კედლებზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი შემორჩენილია ორნახევარი სართულის სიმაღლეზე. ზედა ნაწილი ერთ სიმაღლეზეა მორღვეული. ჩანგრეულია სართულშუა გადახურვა. პირველი სართულის ნახევარი ამოვსებულია მიწით. კოშკის პირველი და მეორე სართულის შესასვლელები, გალავნის შიგნიდან, კუთხესთან ერთმანეთის თავზეა განლაგებული. ამჟამად ამ ორ კარის ღიობს შორის არსებული კედელი ჩამონგრეულია და ეს ორი ღიობი ერთ კარად აღიქმება. ამ ღიობის ზემოთ, კოშკის შიგნიდან კარგად ჩანს მესამე სართულის კარის წირთხლის ქვედა ნაწილი. კოშკში და მის კედლებზე ამოსულია მცენარეები.

სამხრეთ-დასავლეთი კოშკი შედარებით წინა ორთან შედარებით ცუდად არის შემორჩენილი. კოშკი შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. სტრუქტურული დაზიანებებიდან აღენიშნება კედლების განმონგრევა, რომელიც ორ ადგილას არის ფასადზე გარღვეული. ინტერიერში ჩამოშლილია სართულშუა

გადახურვა, შემორჩენილია კოჭების ფოსოები. ინტერიერი დიდწილად ამოვსებულია მიწით და ამოსულია მაღალი მცენარეები.

რასც შეეხება ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან მდებარე დიდ კოშკს. იგი ამჟამად ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. ახლა ძველი კოშკი ჩანს მხოლოს ფასადზე, ჩრდილოეთ კედელთან მიერთების კუთხესთან. მხოლოდ აქ მოჩანს მომრგვალებული კედელი. ხოლო დანარჩენი კედლები, საფუძვლიანად ახლიადან არის აგებული სწორკუთხად. და გადაკეთებულია მართკუთხა გეგმის სათავსოდ, რომლის ერთი კედელია მომრგვალებული. ამდენად, ჩვენ აქ გვავს სქრუქტურული რღვევა. ეს რღვევა იმდენად დიდია, რომ ამ ეტაპზე, დანარჩენი სამი კოშკისგან განსხვავებით, სრულიად წარმოუდგენელია ამ კოშკის თავდაპირველი პარამეტრების, მასშტაბის თუ დეტალების დადგენა. ახლა ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია შემოვხაზოთ ის კოშკი და აღვადგინოთ ის წრე რომელიც თავის დროზე იყო, ხოლო მისი თავდაპირველი სიმაღლის განსაზღვდა წარმოუდგენელია.

რაც შეეხება XIX საუკუნის ნაგებობებს, რომლებიც გალავნის დასავლეთ ფასადზეა მიდგმული. ვაპირებთ ამ ნაგებობების სრულ რეაბილიტაციასა და ადაპტაციას. აქ წარმოდგენილია ორი ერთმანეთთან მიჯრით აგებული შენობა. მარცხნივ მდგარი შენობა ამჟამად შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. მას აქვს გადახურვა და გარკვეულწილად შემორჩენილია ძველი დეტალები, იქნება ეს აივნები თუ, ინტერიერის იატაკი და ჭერი. რაც შეეხება მეორე მარჯვნივ მდგარ ნაგებობას. ამ შენობიდან ამჟამად დარჩენილია მხოლოდ ცარიელი კედლები.

უნდა აღინიშნოს რომ ჩვენ მოგვეპოვება 1989 წელს შესრულებული პროექტი, სადაც ორივე სახლი გაცილებით სრულყოფილად იყო შემორჩენილი. მარჯვნივ მდგომ ნაგებობაზე ფასადზე მეორე სართულზე გამოდიოდა მოხარატებული აივანი, როგორიც არის ამჟამად შემორჩენილი მარცხნივ არსებულ ნაგებობაზე

(ახლა ამ შენობის აივანსაც გამოცვლილი აქვს აივნის მოაჯირი, ნახაზებზე ჩანს, რომ მოაჯირიც იყო მოხარატებული ორნამენტებით).

დასკვნა და რეკომენდაციები

ახალქალაქის ციხე-გალავანი მნიშვნელოვანი კულტურული და ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლია, მისი რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი უნდა განხორციელდეს ყველა საერთაშორისო თუ ქართული კანონმდებლობის დაცვით. ასევე იმ გამოცდილებაზე დაყრდნობით რაც ქართულ სარევსტვრაცო სკოლას გააჩნია, ამასთან მსოფლიოს თანამდროვე ტენდენციების გათვალიწსინებით და ესთეკურის და ეთიკური ნორმების ურთიერთ ბალანსის დაცვით. ციხე-გალავანს გააჩნია უდიდეს პოტენციალი, მთილიანად სოფლის განვთარების კუთხით. ეს იქნება კუტურული ცენტრი, არა მხოლოდ ტურისტებისთვს, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც კულტურული, ასევე ეკონომუკური განვითარების კუთხით. ამასთან ხელი შეეწყობა ქართული ჭიდაობის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განვთარებას.

ციხე-გალავნის ადგილმდებარეობა, ბუნება, თბილისთან სიახლოვე, კუტურული მემკვდრეობის ძეგლების სიმრავლე და სხვა - ეს ყველაფერი მისი და სოფლის განვითრების დიდ პოტენციალს იძლევა და ამ რესურსის გამოყენება აუცლებლად უნდა მოხდეს, სახელმწიფოსა და მესაკუთრის ერთობლივი თუ დამოუკიდებელი ძალისხმევით, რათა შევინარჩუნოთ საქრთველოს იტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი და ამით ხელი შევუწყოთ ქვეყნის განვითარებას.

საქართველოში მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა სარესტავრაციო სკოლა, სადაც საკულტო ნაგებობების რეტავრაცია/აღდგენა/გამგრების სამუშაობს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. საკულტო ნაგებობების რესტავრაციისადმი არსებული ფაქიზი დამოკდებულება გადმოვიტანეთ თუ ინერციით გადმოგვყვა საერო არქტექტურის რესტავრაციაში. რაც ყოველთვის გამართლებული შესაძლოა არ იყოს. იმას ვგულისხმობ, რომ განსხვავებით საკულტო ნაგებობსგან, ისტორულ საერო შენობაში თანამედროვე ჩარევები საკმაოდ თამამიც კი შეიძლება იყოს, რადგან საერო ნაგებობის ფუნქციიდან გამომდინარე საჭიროა დაკმაყოფილდეს ადამიანის თანამედროვე მოთხოვნები და შეიქმნას კომფრტული გარემო ისტორიულ კედლებში. ასეთ დროს ძეგლების საკრალიზაციას საბოლოო ჯამში ისევ ძეგლების დაკარგვამდე მივყავართ. რადგან ვერ ხდება მისი ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართვა და რჩება გამოუყენებელ რესურსად რომელსიც დროთა განმავლობაში კარგავს მათ შორის მხატვრულ ღირებულებასაც. შენობის ადაპტირება ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას ყველა სარესტავარციო პრინციპი და არ დაირღვეს მთავარი მხტვრული ღირებულება არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დღესდღეობთ, მითუფრო საქრთველოს ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, როცა ძალიან რთულია როგორც კერძო მესაკუთრეების, ისე სახლმწიფოს მხრიდან სათანადო რესურსის გამოძებნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებისთვის.

სწორედ ამ ეკონომკური მდგომარეობიდან და მზარდი ტურიზმიდან გამომდინარე არჩევანი ძეგლის კომერციული ფუნქციის მინიჭებაზე კეთდება ხოლმე ძირითადად, ამიტომაც ხშირად სასტუმროებით და კვების ოქბეტებით იტვირთება, რომელიც კონბინირებულია საგამოფენო სივრცეებთან, სადაც უფრო მეტად წარმოჩენილია ადგიოლობრივი ეთნოგრაფიული, არქეოლოგური თუ სხვა ისტორიული მასალები, თუმცა შესაძლოა თანამდროვე ხელოვნების ნიმუშების გამოფენაც მოხდეს. თანამდროვე ხელოვნების წარმოჩენის მაგალითია გარიყულას სასახლე, სადაც ძეგლი შენარჩუნდა და გამოცოცხლდა მისი ხელოვნების

ცენტრად ქცევის საშუალებით, სადაც მუდმივად მიდინარეობს და სხვადსხვა არტისტული ღონისძიებები და აქტივობები.

ახალქალაქის გალავნი საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ რამდენიმე მოთოდოლოგია ერთად, იქნება ეს რესტავრაცია, კონსერვაცია და ადაპტაცია. გალავანს, როგორც ასეთს ამჟამად დაკარგული აქვს თავდაპირველი თუნქცია. იგი ბოლო დრომდე სოფლის საზოგადოებრივ ცენტრს წარმოადგენდა, სადაც იმართებოდა სხვადასხვა აქტიობები. აქვე იყო საჭიდაო მოედანი, სადაც იმართებოდა ქართული ჭიდაობა. აქვე იყო სხვადასხვა მაღაზიები. გალავანი სოფლის მთავარი შეკრების ადგლის წარმოადგენდა. ამდენად, ვფიქრობთ, გალავანზე მხოლოდ საკონსერვაციო სამუშაოების წარმოება, რომელიც მართალია რამდენიმე ათეული წლით გაუხანგძლივებს სიცოცხელეს ნაგებობას, თუმცა იგი დარჩება უსიცოცხლო ადგილად. ამდენად, აუცილებელად მივიჩნევთ ნაგებობის ადაპტაცია, და მასში გარკვეული თანამედროვე ელემენტების შეტანასაც, რომელიც გააჯანსაღებს აქ არსებულ სიტუაციას.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ მონაკვეთებში აუცილებელია განხოლციელდეს საკონსერვაციო სამუშაოები, ხოლო ზოგან, სადაც ამის შესაძლებლობა არის სასურველია რესტავრაციის განხორციელება.

გარკვეულ სიმაღლემდე უნდა ამოიწიოს აღმოსავლეთი კედელი, რომელიც ახლა გეგმის დონეზეც ძლივს იკითხება. ასევე უნდა აღდგეს კარიბჭე.

კონსერვაცია უნდა ჩაუტარდეს ჩრდილო-დასავლეთის დიდ კოშკს რომლის სიმაღლის და ფორმების განსაზღვრა ამ დროისთვის სრულიად შეუძლებელია.

რაც შეეხება ადაპტაციას. გალავანი მდებარეობს სოფლის ცენტრში, იგი სოფლის და ტურისტების შეკრების ერთ-ერთი მთავარი ადგილია. შესაბამისად ვფიქრობთ აქ გალავანი გვაძლევს გარკვეული ახალი მოცულობების დამატების შესაძლებლობას რომელიც ასევე გარკვეულწილად აღდგენა იქნება აქ არსებული

ნაგებობების და შესაძლებლობა გალავნის შიგნით არსებული ტერიტორიის მოწესრიგების და გამოცოცხლების. ვფიქრობთ, შესაძლებელია გალავნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩაიდგას აქ არსებული შენობის გეგმის შესაბამისად ახალი მოცულობა, რომელსაც შეიძლება მიეცეს კაფის ფუნქცია.

აქვე, ეკლესიის ეზოს შესასვლელთან არის გარკვეული წრის ფორმის ჩაღრმავება. როგორც ჩანს აქ ბოლო წლებამდე არსებობდა საჭიდაო მოედანი. ვფიქრობთ. ამ ადგილას ქართული ჭიდაობის ღია მოედნის აღდგენა გარკვეულწილადააღორძინებს აქ ადრე არსებული ჭიდაობის ტრადიციის და ასევე ქართული ჭიდაობის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

ამდენად, ვფიქრობთ კასპის ახალქალაქის გალავნის პროექტი საშუალებას გვაძლევს გამოვიყებოთ ძეგლის რეაბილიტაციის სხვადასხვა მეთოდოლოგია, რომელიც გამყარებული იქნება ასევე აქ არსებული ჯერ კიდევ ცოცხალი ტრადიციით.

რეკომენდაციები:

- ციხე-გალავნის რეაბილიტაციის პროექტში გამოყენებულ უნდა იქნას სხვადასხვა მეთოდოლოგია. იმ მონაკვეთებში, სადაც გვავქვს დაზუსტებული ინფორმაცია - არსებული თუ პარალელური მასალის მიხედვით შესაძლებელია განვახორციელოთ სრული რესტავრაცია, ხოლო ის ადგილები, რომლებიც დიდწილად დაკარგულია განხორციელდება კონსერვაცია. ამავდროულად, ციხე-გალავნისთვის გამოცოცხლების მიზნით ვგეგმავთ, მის ადაპტაციას და მორგებას თანამედროვე საჭიროებებზე.
- სრული რესტავრაცია შეიძლება განხორციელდეს გალავნის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე, ასევე. ჩრდილოეთ კედელზე იგივე წყობით ამოივსება ჩამონგრეული ნაწილები, კირის ხსნარით ამოიგოზება გამოქარული წყობა.

შესაძლებელია აღდგეს კედლის ზედა ნაწილი თავისი ქონგურებით. ვინაიდან ზოგ ადგილას შემორჩენილია ქონქურის ფრაგმენტები, და შესაბამისად ადვილი წარმოასადგენია მათი თავდაპირველი მოხაზულობა და დაშორება ერთმანეთთან. ასევე, მოსაჭრელია ნაყარი მიწის ფენა, როგორც გალავნის შიგნით ისე კედლის გარე პერიმეტრზე.

- შესაძლებელია ამ ორივე კედელზე აღვადგინოთ სარბენი ბილიკი. ვინაიდან მათი თავდაპირველი ვიზუალური სახე შემორჩენილი არ არის, და ვიცით მხოლოდ ის, რომ ეს ბილიკი გაკეთებული იქნებოდა ხით, გადავწვიტეთ გაგვეკეთებინა, ლითონის მასალით დამზადებული ნეიტრალური სახის სარბენი ბილიკი, სადა მოაჯირებით, რომელიც არ დაფარავს კედლის სტრუქტურას. ლითონის გამოყენება ძველი ციხე-სიმეგრეების რიაბილიტაციაში უკვე ფართოდ არის აპრობირებული სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ იტალიის, ბელაგუარდას ციხე ტოვოში და კოსტა-რიკის გარსიმუნოზის XVI საუკუნის ციხე-სიმაგრე, სადაც სარბენ ბილიკებად სწორედ ლითონის კონსტრუქციებია გამოყენებული.
- სამხრეთ კედლის დასავლეთ კუთხეში, შიდა მხრიდან, იქ სადაც გვიანდელი შენობის ნანგრევებია, შესაძლებელია გაკეთდეს ერთსართულიანი, ბანური გადახურვის მქონე ახალი მოცულობა. მისი ფასადები შეიფუთება მინით, რაც მკაფიოდ გამოყოფს ახალ მოცულობას ძველისგან. ამავდროულად გვერდით ფასადებზე დარჩება ძველი წყობა, რომელიც დასტური იქნება აქ არსებული ძველი ნაგებობის.
- სამხრეთი კედლის ფასადზე მოსახსნელია გვიან მიდგმული ავტოფარეხი და რამდენიმე ნაგებობი ნაშთები. ასევე საკმაოდ დიდზე ჩანს მოსაჭრელი მიწაც. კედლის გამონგრეული ადგილები უნდა შეივსოს იმავე წყობით, ქვებს შორის მონაკვეთი კი ამოიგოზოს კირის ხსნარით.

რაც შეეხება კოშკებს. სრული სიმაღლით შემორჩენილი გვაქვს მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკი, სადაც შემორჩენილია ასევე ქონგურის

ფრაგმენტებიც. ამდენად შესაძლებელია კოშკის სრული რესტავრაცია. პირველ სართულზე მოსაჭრელია მიწის ფენა. აღსადგენია ირველი სართულის შესასვლელი კარის ზედანი. ასევე უნდა აღდგენს მეორე სართულის კარის ღიობიც. კოშკში კარგად ჩანს სართულშია გადახურვის კოჭების ბუდეები, ამდენად თავისუფლად შიაძლება მათი აღდგენა. ხის კოჭები განთავსდება უკვე არსებულ ბუდეებში, რომლის ზემოთაც მოეწყობა თიხატკეპნილი იატაკი. მესამე სართულის დონეზე გალავნის შიდა მხარეს გადმონგრეულია კედელი. ამდენად აქ უნდა აღდგეს წყობა და კარი. ზედა ნაწილი უნდა გადაიხუროს ჰიდროსაიზოლაციო ფენით.

- სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკები, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მეტად არის დაზიანებული და არ არის სრული სიმაღლით შემორჩენილი, მათი პროპორციების შეფარდებით შესაძლებელია დაზუსტებით ითქვას, რომ ეს ორი კოშკიც ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკის ანალოგიური იყო. სამივე კოშკი ერთნაირი დიამერდისაა. სართულებს შორის სიმაღლეც თითქმის თანაბარია. ამადენად ამ შემორჩენილი კოშკის მიხედვით შეგვიძლია თავისუფლად აღვადგინოთ დარჩენილი ორი კოშკიც.
- რაც შეეხება მეოთხე - ჩრდილო-დასავლეთის ყველაზე დიდ კოშკს. როგორც აღვნიშნეთ ამ კოშკიდან შემორჩენილია მცირე კედელი, ხოლო დანარჩენი ნაწილს მიშენებულია სწორკუთხა ნაგებობა. ამ კოშკზე სასურველია საკონსერვაციო სამუშაოები.
- დასავლეთ კედელის შემორჩენილ სამხრეთ მონაკვეთზე, რომელსაც გარეთა მხრიდან მიდგმული აქვს XIX საუკუნის სახლები, შეიძლება აღვადგინოთ ქონგურები, ვინაიდან, ამ კედელზე ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი ისინი. შიდა მხრიდან გვიანდელი მიშენებები უნდა მოიხსნას. რაც შეეხება ჩრდილოეთ, გვინდელ მონაკვეთს, იგი უნდა დარჩეს უცვლელად.
- გალავნის აღმოსავლეთ კედელზე, რომელიც ყველაზე მეტადაა დაზიანებული შემორჩენილ კედლების უნდა ჩუტარდეს კონსერვაცია და ამ

დაკონსერვებული ფენის ზემოთ შესაძლებელია თანამედროვე, გამჭირვალე, მსუბუქი მასალით, გალავნის კედლის და კარიბჭის მოცულობის რეკონსრუქციას. აღნიშნული რეკონსტრუქცია გათვალიწინებულია მხოლოდ მნახველისთვის სრული შთაბეჭდილების მოსახდენად. იგი არ იქნება მყარი კონსტრუქცია და ნებისმიერ დროსაა მისი მოხნა შესაძლებელი.

- სასურველია სრული რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს გალავნის დასავლეთ ფასადზე მიდგმულ ორ ნაგებობას. მარჯვენა ნაგებობის პირველი სართულის ფასადი შეულესავი იყო. მეორე სართულზე კი შემორჩენილია ნალესობა და საალფრეო მოხატულობა. ძირითადი კედელი დაფერილია მოცისფროდ, შუა მონაკვეთში კი გაუყვება ორნამენტურლი ხაზი. ძირითადი დაზიანება ამ ნაგებობას აქვს აივანზე. ამჟამინდელი მოაჯირები გვიანდელია. ძველ პროექზე ჩანს, რომ აქ იყო მოხარატებული აივანი, შესაბამისად უნდა აღდგეს ეს ძველი მოაჯირი. ზემოთ მოხარატებული ფარდები რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენია, უნდა შეკეთდეს და დაკარგულ ადგილებში აღდგეს. შესაცვლელია გადახურვა.

რაც შეეხება მორე სახლს. ეს სახლი თითქმის მთლიანად აღსადგენია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მისგან შემორჩენილია მხოლოდ კედლები, ხოლო სახურავი და სართულშუა გადახურვა ჩამონგრეულია. აღარ არის აივანი რომელიც 1989 წლის ანაზომზე იყო დატანილი. ამ სახლის რეაბილიტაციაში დაგვეხმარება სწორედ ეს ანაზომი. მეორე სართულის აივანზე გამოდიოდა შეფიცრული მოაჯირი, რომლებზეც მართკუთხა ფორმები იყო გამოსახული. მარცხენა კუთხეში აუყვებოდა მიდგმული ხის კიბე. ნაგებობა გადახურული იყო ცალფერდა სახურავით, დაქანებული ქუჩის მხარეს.

- ამასთანავე, უნდა მოხდეს გალავნის შიდა პერიმეტრის კეთილმოწყობა. შესაძლებელია გაკეთდეს ბილიკები, მოხდეს გამწვანება, დადიდგას მოსასვენებელი სკამები და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.-4. 1973 წ.
2. ქართლის ცხოვრება - ტომი IV - ბატონიშვილი ვახუშტი - "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" - ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ - თბილისი - 1973
3. საქართველოს ისტრიისა და კუტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ.5
4. არქიტექტურის რეტავრაცია საქართველოში - ირ. ელიზბარაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი, მ. სურამელაშვილი, ხ. ჭურღულია. თბილისი 2012 წ.
5. ხუროთმოძღვრების კონსერვაცია: პრინციპები, მოსაზრებები, თბილისი 2007
6. ბერნარ მ. ფილდენი, იუკა იოკილეტო: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, თბილისი 2005
7. იუკა იოკილეტო: არქიტექტურის კონსერვაციის ისტორია, თბილისი 2009.
8. ბერიძე, ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917 წლები, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1960, ტ.I,
9. ბერიძე, ვ., ქართული ხუროთმოძღვრების იტორია, თბილისი, 2014, ტ. I,
10. პ. იოსელიანი, ცხოვრება დიდი მოურავის თავად გიორგი სააკაძისა, ტფ. 1848
11. პ. იოსელიანი, ადრე და ამჟამად არსებული ქალაქები საქართველოში, ტფ. 1850
12. ს. მაკალათია, თემმის ხეობა, თბ. 1950
13. ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევი, თბ. 1940.
14. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხი, თბ, 1977.

15. ქართლის ცხოვრება - ტომი I, ყაუხჩიშვილის რედაქციით
16. ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I

ილუსტრაციები

აღმოსავლეთი ფასადი

ჩრდილოეთი ფასადი

დასავლეთი ფასადი

სამხრეთი ფასადი

ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკი

ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკი

ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკი

ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკიინტერიერი

ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკიინტერიერი

ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკიინტერიერი

სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი

სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი

სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი

სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი ინტერიერი

სამხრეთ-დასავლეთი კოშკი

სამხრეთ-დასავლეთი კოშკი

სამხრეთ-დასავლეთი კოშკი

სამხრეთ-დასავლეთი კოშკი ინტერიერი

ჩრდილო-დასავლეთი კოშკი

ჩრდილო-დასავლეთი კოშკი ეკლესიის ეზოს მხრიდან, გვიანი ამოშენებით

ჩრდილოეთი კედელი

დასავლეთი კედელი

დასავლეთი კედელი, გვიანი ჩანართი

სამხრეთი კედელი, გვიანი მინაშენებით

სამხრეთი კედელი, გვიანი მინაშენებით

სამხრეთი კედელი, გვიანი მინაშენებით

სამხრეთი კედელი

აღმოსავლეთი კედლის შემორჩენილი ფრაგმენტი

ღვთისმშობლის ეკლესია

ღვთისმშობლის ეკლესია და სამრეკლო

XIX ს. სახლი გალავნის დასავლეთ ფასადზე

XIX ს. სახლი გალავნის დასავლეთ ფასადზე

XIX ს. სახლი გალავნის დასავლეთ ფასადზე, შემორჩენილი მოხარატებული „ფარდა“

XIX ს. სახლი გალავნის დასავლეთ ფასადზე, პირველი სართულის ფასადი

XIX ს. სახლი გალავნის დასავლეთ ფასადზე, კუთხესთან.

XIX ს. სახლი გალავნის დასავლეთ ფასადზე, კუთხესთან. ინტერიერი